

**ს ჰეპატიტის ელიმინაციის
2016-2020 წლების
ერთვწული სტრატეგიის
შუალედური შეფასების ანგარიში
2016-2017 წლებისთვის**

დათქმა:

*ანგარიშიში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის
შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
(USAID), დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GCI) ან
ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს“.*

სარჩევი

აბრევიატურა.....	3
მოკლე შეჯამება	4
შესავალი	8
შეფასების მიზანი	8
შუალედური შეფასების მეთოდოლოგია	8
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	9
ეფექტურობის შეფასების შედეგები	10
სტრატეგიის შემუშავების საფუძველი და აქტუალობა	10
2016-2017 წლებში სტრატეგიული ამოცანებით განსაზღვრული ინტერვენციების შესრულება	14
ელიმინაციის სტრატეგიის 2016-2017 წლების ბიუჯეტი ანალიზი.....	18
სტრატეგიული მიმართულებების განხორციელების დეტალური მიმოხილვა	20
ამოცანა 1: ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება	20
ამოცანა 2. ჰეპატიტებზე ჯანდაცვის სექტორის რეაგირების მონიტორინგი	25
ამოცანა 3. ვირუსული ჰეპატიტების გადაცემის პრევენცია საზოგადოებაში და სამედიცინო დაწესებულებებში	30
ამოცანა 4. C ჰეპატიტით ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება სკრინინგის, ტესტირების, მოვლისა და მკურნალობის სერვისების გაფართოებით	45
რეზიუმე	54
რეკომენდაციები	59
ლიტერატურა:	61
დანართები	63
დანართი 1: შეფასების ეტაპები.....	63
დანართი 2: ჩაღრმავებული ინტერვიუების რესპონდენტები	63

აბრევიატურა

AASLD	ღვიძლის დაავადებათა კვლევის ამერიკული ასოციაცია
BBS	ბიო-ბიჰევიორული ზედამხედველობის კვლევა (Bio-Behavioural Surveillance Survey)
DAA	პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული პრეპარატები (direct acting antivirals)
EASL	ღვიძლის კვლევის ევროპული ასოციაცია
ELPA	ღვიძლის პაციენტთა ევროპული ასოციაცია (European Liver Patients' Association)
GGI	დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა
HCV	C ჰეპატიტის ვირუსი
ICP	ინფექციების პრევენცია და კონტროლი (Infection prevention and Control)
KAP	ცოდნა, დამოკიდებულება და პრაქტიკა (Knowledge, attitudes, and practices)
MoLHSA	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
NCDC	სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
NSP	შპრიცებისა და ნემსების პროგრამა Needle and syringe program
OST	ოპიოიდ- ჩანაცვლების მკურნალობა Opioid substitution treatment
SRAMA	სამედიცინო სერვისების სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
SVR	მდგრადი ვირუსული პასუხი (sustained virologic response – SVR)
TTI	ტრანსფუზიით გადაცემადი ინფექციები (Transfusion transmissible infections)
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
US CDC	აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები
დკსჯეც	სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
ნიმ	ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი
რნმ (RNA)	რიბონუკლეინის მჟავა
ჯანდაცვის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ჯანმო	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

მოკლე შეჯამება

საქართველომ, როგორც C ჰეპატიტით მაღალი პრევალენტობის ქვეყანამ (2015 წ. სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევა – 7.7% – ანტი HCV+ და 5.4% რნმ-დადებითი), აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (US CDC), ფარმაცევტული კომპანია გილეადის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა დაინტერესებული მხარეების მჭიდრო მხარდაჭერით, 2015 წლის 28 აპრილს დაიწყო მსოფლიოში უპრეცედენტო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა.

ელიმინაციის პროგრამის წარმატებით დანერგვისთვის 2016 წლის 18 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგია“ (საქართველოს მთავრობის განკარგულება #1704).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით, განხორციელდა „C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ შუალედური შეფასება 2016-2017 წლებისთვის, რომელიც უფუძნება საქართველოს მთავრობის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მეთოდოლოგიას. აღნიშნული შეფასების მიზანია სტრატეგიის განხორციელების პროცესში არსებული პრობლემის გამოვლენა და სტრატეგიის განხორციელების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების უზრუნველყოფა.

„C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ შუალედური შეფასების პარამეტრად განისაზღვა – ეფექტურობა. შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელდა სტრატეგიით განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვება კვლევებიდან, მონიტორინგის ანგარიშებიდან, ინტერვიუებიდან, სამუშაო შეხვედრების ოქმებიდან და სხვა წყაროებიდან.

ელიმინაციის სტრატეგიის, მისი კომპლექსური ღონისძიებების და გამოსავლების შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის მიერ აღებული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის, მიღწეული შედეგების და არსებული გამოწვევების საზგასმისთვის. ანგარიშში გამოყენებული ინდიკატორების მეშვეობით განხორციელდა 2016-2017 წლების პროგრესის შეფასება და განისაზღვრა ის მიმართულებები, სადაც უფრო მეტი ძალისხმევის მიმართვაა საჭირო, რათა 2020 წელს მიღწეულ იქნეს ელიმინაციის მთავარი მიზანი.

სეროპრევალენტური პოპულაციური კვლევის შედეგებმა დაადასტურა C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიის შემუშავების აქტუალობა და მისი შესაბამისობა საერთაშორისო და ქვეყნის პრიორიტეტებთან და მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებებთან (პრიორიტეტი – გადამდები დაავადებების მართვა). სტრატეგიაში ასახული პრიორიტეტები და ქმედებები სრულად არის ინტეგრირებული ქვეყნის მონაცემებისა და ძირითადი მიმართულებების დოკუმენტებში (BDD) და უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსებით.

სტრატეგია 5 წლიანია და გააჩნია მეტად ამბიციური მიზანი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. მის დანერგვას, სამინისტროსთან ერთად, თვალყურს ადევნებს ჯანმო, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრი, კომპანია გილეადი და ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფი, მთავრობის ელიმინაციის კომისია, სამეცნიერო კომიტეტი და ა.შ. სტრატეგიის შესრულების შედეგები ყოველწლიურად განიხილება მაღალი დონის ტრიბუნებიდან: ჯანმოს გენერალური ასამბლეა, EASLE კონგრესი და სხვა. ელიმინაციის პროგრამის ამოქმედებიდან ყოველწლიურად ფასდება პროგრესი და ძირითად სამიზნე მაჩვენებელთან 90%-95%-95% გეგმაზომიერი მიახლოება.

სტრატეგიით გათვალისწინებული საბოლოო და შუალედური ინდიკატორების ანალიზი აჩვენებს როგორც გატარებული ღონისძიებების ეფექტურობას, ისევე იმ გამოწვევებს, რომლებიც სამიზნე მაჩვენებლების მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენენ: 90%-95%-95% (C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 90%-ის გამოკვლევა; C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მქონეთა 95%-ის მკურნალობა და მკურნალობის შედეგად 95%-ის განკურნება) მიღწევაში. კითხვაზე: „რამდენად მოხდა დაგეგმილი ამოცანების და საქმიანობების შესრულების ინდიკატორების მიღწევა?“ და „რამდენად შესაბამისობა მიღებული შედეგები ბენეფიციარების საჭიროებებს?“ პასუხები ასეთია: 2017 წლის ბოლოსთვის დიაგნოსტირებულია C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 34%, განხორციელდა C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მქონეთა 21%-ის მკურნალობა და მათგან 98%-ის განკურნება. რაც შეეხება სიკვდილიანობის მაჩვენებელს, C ჰეპატიტთან ასოცირებული ჰეპატოცელულარული კარცინომით და ციროზით გარდაცვლილთა რაოდენობა 100000 მოსახლეზე - 2017 წელს 100000 მოსახლეზე შეადგენდა 6.7-ს, ხოლო 2015 წელს 8.1-ს (კლება 13%) (2020 სამიზნე - სიკვდილიანობის 65%-ით შემცირება).

C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის შედეგების (outcomes) შეფასება ხორციელდება 9 ინდიკატორით. საანგარიშგებო პერიოდში ვერ მოხერხდა მონაცემების მოძიება ორი ინდიკატორისთვის, რადგან საჭიროებენ სპეციალურ კვლევას, რომელიც ტარდება 5 წელიწადში ერთხელ. ორი ინდიკატორისთვის (HCV-ის პრევალენტობა ორსულებში და HCV-ის ინციდენტობა სამიზნე პოპულაციებში) უკვე შესაძლებელი გახდა ინფორმაციის ნაკადების განსაზღვრა. სამი ინდიკატორის შედეგები შესაბამისობაში იყო 2017 წლის სამიზნე მაჩვენებლებთან, ხოლო ორი ინდიკატორის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სამიზნეებისგან და მათი მიღწევა საჭიროებს დამატებით ძალისხმევას.

რაც შეეხება სტრატეგიის დანერგვის ზეგავლენის შეფასებას, როგორცაა მაგალითად, ვირუსის რეზერვუარის და ტრანსმისიის შემცირების რისკი და C ჰეპატიტთან დაკავშირებული ავადობისა და სიკვდილობის შედეგად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, შესაძლებელი იქნება 2020 წელს, სტრატეგიის დასრულების შემდეგ, სპეციალური სეროპრევალენტური კვლევის ჩატარების შედეგად.

სტრატეგიის 4 პრიორიტეტისა და 9 ქვეამოცანის განსახორციელებლად 2016-2017 წლებში სულ დაგეგმილი იყო 120 აქტივობა, აქედან 42% სრულად იქნა

შესრულებული, ნაწილობრივ განხორციელდა 13% ღონისძიება, ინიციატივების 44% იყო განგრძობითი ხასიათის, რომელთა დასრულება 2020 წლისთვის არის დაგეგმილი.

2016-2017 წლებში ელიმინაციის სტრატეგიის აქტივობების ფაქტიური ხარჯი დაგეგმილის 57%-ს შეადგენს, რადგან კომპანია გილუადის მიერ ახალი მედიკამენტის პარვონის შემოტანამ შეამცირა სახელმწიფო პროგრამით შესასყიდი მედიკამენტების: ინტერფერონის და რიბავირინის შესყიდვის აუცილებლობა. სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი დიაგნოსტიკური და მონიტორინგის პროცედურის სრულად დაფინანსებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა პაციენტების ფინანსური ტვირთი.

2016-2017 წლებში საქართველომ განახორციელა მნიშვნელოვანი წინსვლა სტრატეგიის 4 პრიორიტეტული მიმართულებით. ელიმინაციის მიზნის მისაღწევად განხორციელდა C ჰეპატიტის მქონე პაციენტთა იდენტიფიკაციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისის დეცენტრალიზაცია და ზიანის შემცირების და ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრების ჩართვა, ისევე როგორც სკრინინგისა და დიაგნოსტიკის ზოგიერთი სერვისის უფასო მიწოდება. მოხდა HCV მკურნალობის მონაცემთა ბაზის სკრინინგის ბაზასთან, ელექტრონული ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ფინანსურ მოდულებთან დაკავშირება, რითაც შესაძლებელი გახდა ანტი-HCV+ პაციენტზე სრული ზედამხედველობა – სკრინინგიდან გამოჯანმრთელებამდე.

ევროსაბჭოს ტექნიკური დახმარებით მიმდინარეობს „უსაფრთხო სისხლის“ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი სტანდარტების დანერგვისთვის ნორმატიული ბაზის გადახედვა-განახლება და უანგარო დონორობის წახალისების ხელშეწყობა. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაიწყო სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებების დანერგვა და ზედამხედველობა, ისევე როგორც საზოგადოებრივ დაწესებულებებში სტერილიზაცია-დეზინფექციის ღონისძიებების ზედამხედველობა.

შეფასების პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა: ელიმინაციის მიზანი მოითხოვს რაც შეიძლება მეტი C ჰეპატიტის მქონე პირის იდენტიფიკაციას და მკურნალობის პროცესში ჩართვას. ასევე, მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის და მკურნალობის რეჟიმების გამარტივება. ელიმინაციის მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს პროვაიდერების ლიმიტირებული რაოდენობა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. დიაგნოსტიკის და მკურნალობის მონიტორინგის დროს არსებული ფინანსური ბარიერები, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სტიგმა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ელიმინაციის პროცესის ტემპზე. რესურსების ნაკლებობის გამო, მნიშვნელოვანი გამოწვევაა სწორი საკომუნიკაციო მესიჯების შემუშავება, საკომუნიკაციო კამპანიების დაფარვისა და ზეგავლენის გაზომვა.

ს ქეპატიტის ელიმინაციის ეროვნული სტრატეგიის შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც ხელს შეუწყობს მისი განხორციელების ეფექტურობის და ეფექტიანობის გაუმჯობესებას და სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდას. ესენია: ელიმინაციის სტრატეგიის 2019-2020 წლების ქმედებების ცვლილება მკურნალობის რეჟიმების ცვლილებისა და დეცენტრალიზაციის გათვალისწინებით. ცნობიერების ბარიერების შემცირებისთვის საზოგადოების განათლების ამაღლების ღონისძიებების გაუმჯობესების ხელშეწყობა და დაინტერესებული მხარეების სისტემატური ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესება. ელიმინაციის მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია ტესტირებისა და მკურნალობის მასშტაბების სწრაფად გაფართოება, ს ქეპატიტის ტესტირების და მკურნალობის კასკადის გაუმჯობესება და ბენეფიციარებთან სისტემატური უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება. პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ინფექციის კონტროლის და სისხლის უსაფრთხოების ღონისძიებების გაუმჯობესება.

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით, განხორციელდა „C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ (საქართველოს მთავრობის განკარგულება #1704, 18 აგვისტო 2016 წ.) შუალედური შეფასება 2016-2017 წლებისთვის. შეფასება განხორციელდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ტექნიკური მხარდაჭერით და ეფუძნება საქართველოს მთავრობის „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მეთოდოლოგიას.

შეფასების მიზანი

აღნიშნული შუალედური შეფასების მიზანია მიღწეული შუალედური შედეგების ბენეფიციარებზე ზემოქმედების გაზომვა, სტრატეგიის განხორციელების პროცესში არსებული პრობლემის და გამოწვევების გამოვლენა და სტრატეგიის განხორციელების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება.

ამასთან, აღნიშნული პროცესით ასევე მოხდა სტრატეგიის მონიტორინგსა და შეფასებაში ჩართული მხარეების შეფასების შესაძლებლობების გაძლიერება, რაც სამომავლოდ მეტად ყოვლისმომცველი და ხარისხიანი შეფასებების მომზადების საფუძველს წარმოადგენს.


აღნიშნული შუალედური შეფასება ხელს შეუწყობს გაუმჯობესდეს სტრატეგიის განხორციელების ეფექტურობა და ეფექტიანობა, წარმატების/სამიზნე ინდიკატორების უკეთ დასახვის გზით. ასევე გაიზრდება სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის და ანგარიშგაღებულების ხარისხი. შეფასების შედეგად განხორციელდა სტრატეგიის თითოეული მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ციკლში წარმატებული მაგალითების იდენტიფიკაცია და ამ პროცესიდან ნასწავლი გაკვეთილების განზოგადება.

შუალედური შეფასების ანგარიშის მომხმარებლებს წარმოადგენენ სტრატეგიის განმახორციელებელი ორგანიზაციები და ასევე საკითხით დაინტერესებული საერთაშორისო პარტნიორები და საზოგადოებრივი ჯგუფები.

შუალედური შეფასების მეთოდოლოგია

„C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ შუალედური შეფასების პარამეტრად განისაზღვრა – ეფექტურობა. სხვა პარამეტრების (აქტუალობა, განხორციელება, ზემოქმედება, ეფექტიანობა და მდგრადობა) მიხედვით შეფასება განხორციელდება 2021 წელს სტრატეგიის დასრულების და სეროპრევალენტური პოპულაციური კვლევის ჩატარების შემდეგ.

ეფექტურობის პარამეტრის ძირითადი შეფასების კითხვებს წარმოადგენს: „რამდენად მოხდა დაგეგმილი ამოცანების და საქმიანობების შესრულების ინდიკატორების მიღწევა?“ და „რამდენად შეესაბამებოდა მიღებული შედეგები პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების საჭიროებებს?“



რაოდენობრივი შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა სტრატეგიაში მოცემული ინდიკატორები და შესაბამისი წყაროებიდან მოხდა ინფორმაციის მიღება და ანალიზი.

ხარისხობრივი შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა სტრატეგიასთან დაკავშირებული სტატიების, ანგარიშების, კვლევების, წარმატების ისტორიების მიმოხილვა და ჩაღრმავებული ინტერვიუები სტრატეგიის ამოცანის ბენეფიციართან.

შუალედური შეფასება განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდები დაავადებების დეპარტამენტის და აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების საქართველოს ოფისის თანამშრომელთა მიერ შექმნილი ჯგუფის მიერ (შუალედური შეფასების ჯგუფი).

პროცესის ტექნიკური/საკონსულტაციო დახმარება განახორციელა USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტმა.

ცხრილი 1: C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის შუალედური შეფასების ძირითადი ელემენტები

შეფასების მიზანი	მიღწეული შუალედური შედეგების ბენეფიციარებზე ზეგავლენის გაზომვა, სტრატეგიის განხორციელების პროცესში არსებული პრობლემის და გამოწვევების გამოვლენა და სტრატეგიის განხორციელების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება
მეთოდოლოგია	რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება
ეფექტურობის პარამეტრის შეფასების კითხვა	რამდენად მოხდა დაგეგმილი ამოცანების და საქმიანობების შესრულების ინდიკატორების მიღწევა?“ და თუ შესაძლებელია: „რამდენად შეესაბამებოდა მიღებული შედეგები პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების საჭიროებებს?
დრო	2016-2017 წლების შუალედური შეფასება
განმახორციელებელი	შერეული შეფასება (სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი, დკსზფ, CDC) გარე ექსპერტის მხარდაჭერით.
შედეგი:	შუალედური შეფასების ანგარიში სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული მიგნებებით და რეკომენდაციებით

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

შეფასების ჯგუფის მიერ განხორციელდა სტრატეგიით განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის შეგროვება კვლევებიდან, მონიტორინგის ანგარიშებიდან, ინტერვიუებიდან და სხვა წყაროებიდან. მიღებული ინფორმაციის ანალიზი მოხდა სტრატეგიის ინდიკატორების მიხედვით და შეფასების ანგარიშის სტრუქტურის შესაბამისად.

ეფექტურობის შეფასების შედეგები

სტრატეგიის შემუშავების საფუძველი და აქტუალობა

საქართველო მიეკუთვნება C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყნების ჯგუფს. 2015 წელს სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა (დკსჯეც) და აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების (CDC) მიერ ჩატარებული სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევის მიხედვით, C ჰეპატიტის ანტისხეულებზე დადებითია ქვეყნის მოსახლეობის 7.7%, ხოლო რნმ-დადებითი (რიბონუკლეინის მქონე), ანუ C ჰეპატიტის აქტიური ფორმით დაავადებული არის მოსახლეობის 5.4%.


დაავადების მძიმე ტვირთიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო პარტნიორების – აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების, ფარმაცევტული კომპანია „გილუადის“ და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) – აქტიური მხარდაჭერით, მიზნად დაისახა ქვეყანაში C ჰეპატიტის ეპიდემიის ელიმინაცია, რის შედეგადაც საქართველო გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სამოდელო ქვეყანა.

C ჰეპატიტის ელიმინაციის მიზნის მისაღწევად და ეროვნული რეაგირების ხელშეწყობისათვის შემუშავდა ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2020, რომლის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაცია და შედეგად საზოგადოებასა და ეკონომიკაზე ვირუსული ჰეპატიტის მძიმე ზეგავლენის შემცირება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანდაცვის სექტორის ვირუსული ჰეპატიტების გლობალური სტრატეგიის სამიზნეების კვალიდაკვალ, საქართველო 2020 წლისთვის გეგმავს შემდეგი მიზნების მიღწევას:

- C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 90%-ის გამოკვლევა
- C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მქონეთა 95%-ის მკურნალობა და
- მკურნალობის შედეგად 95%-ის განკურნება

სურათი 1-ზე მოცემულია C ჰეპატიტის მოვლის კასკადი, რომელიც ეფუძნება სამივე მისაღწევ მიზანს. იქიდან გამომდინარე, რომ 150 000 პაციენტს აღენიშნება ქრონიკული C ჰეპატიტი, ელიმინაციის ძირითადი მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება დაახლოებით 135 000 პაციენტის დიაგნოსტიკა, 128 250 პაციენტის მკურნალობა და 121 838-ის განკურნება.

სურათი 1. C ჰეპატიტის მოვლის კასკადი, დაფუძნებული 90-95-95 მისაღწევ მიზნებზე



C ჰეპატიტის აქტიური დაავადების პრევალენტობა ზრდასრულთა შორის დაახლოებით 5.4%-ია, მისი 90%-ით შემცირება გულისხმობს პრევალენტობის 0.5%-მდე დაქვეითებას. ამ მიზნების მიღწევის შემთხვევაში მოსალოდნელია სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება სულ მცირე 65%-ით.

საქართველოში C ჰეპატიტით ინფიცირებულთა უდიდესი ნაწილის იდენტიფიცირება და განკურნება ხელს შეუწყობს:

- ვირუსის რეგერუარის მნიშვნელოვნად შემცირებას, რაც თავის მხრივ შეამცირებს ტრანსმისიის რისკს;
- C ჰეპატიტთან დაკავშირებული ავადობის, სიკვდილიანობის და უნარშეზღუდულობის საგრძნობლად შემცირებასა და ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

ქმედებები გაერთიანდა 4 ძირითადი სტრატეგიული ამოცანის ქვეშ, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2016-2020 წლებში:

1. ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება
 - 1.1. ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება მოსახლეობასა და მაღალი რისკის ჯგუფებში
 - 1.2. ჰეპატიტთან დაკავშირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირება სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებაში
2. ჰეპატიტებზე ჯანდაცვის სექტორის რეაგირების მონიტორინგი
3. ვირუსული ჰეპატიტების გადაცემის პრევენცია საზოგადოებაში და სამედიცინო დაწესებულებებში
 - 3.1. C ჰეპატიტისა და სისხლით გადაცემადი სხვა ინფექციების სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული გადაცემის პრევენცია
 - 3.2. C ჰეპატიტისა და სისხლით გადაცემადი სხვა ინფექციების გავრცელების პრევენცია საზოგადოებაში
 - 3.3. ნიმ-ებს შორის C ჰეპატიტის ინციდენტობის შემცირება
4. C ჰეპატიტით ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება სკრინინგის, ტესტირების, მოვლისა და მკურნალობის სერვისების გაფართოებით
 - 4.1. C ჰეპატიტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის თანამედროვე სისტემის დანერგვა C ჰეპატიტზე ტესტირების ხარისხის გასაუმჯობესებლად
 - 4.2. ქრონიკული ჰეპატიტის მქონე პაციენტთა შორის დიაგნოსტირებულთა წილის გაზრდა
 - 4.3. HCV მკურნალობასა და მოვლაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ელიმინაციის მიზნის მისაღწევად და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა განსახორციელებლადაც, წინასწარი ფინანსური გათვლებით, 5 წლის განმავლობაში საჭირო თანხა შეადგენს 116 მლნ აშშ დოლარს.

სტრატეგიას გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო.

სტრატეგიით დაგეგმილი ამოცანებისა და ქვე-ამოცანების შესრულებაზე ძირითადი პასუხისმგებელი უწყებებია: ჯანდაცვის სამინისტრო, დეკჯეც, გლობალური ფონდის პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები.

ელიმინაციის პროგრამას გააჩნია მძლავრი მხარდაჭერა საქართველოს მთავრობისგან. სამინისტროს სტრატეგიის განხორციელებისას წარმატებით თანამშრომლობს ადგილობრივ პარტნიორებთან (სამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ინფექციური დაავადებების, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი). საერთაშორისო თანამშრომლობა მხარში უდგას ქვეყანას ელიმინაციის სტრატეგიის განხორციელებაში (ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრები, ფარმაცევტული კომპანია გილუადი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, აშშ-ის საელჩო და ა.შ), სტრატეგიის დანერგვას ასევე უწევს ადვოკატირებას და დახმარებას კერძო (კერძო კლინიკები, სისხლის ბანკები არიან C ჰეპატიტის სერვისების აქტიური მიმწოდებლები), არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები (ზიანის შემცირების და ჩანაცვლებითი თერაპიის ქსელები), რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სერვისების მიწოდების, პოლიტიკაზე დიალოგის და გრძელვადიანი ელიმინაციის დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში. პარტნიორობა თამაშობს კრიტიკულ როლს საზოგადოებაში C ჰეპატიტთან დაკავშირებული კომუნიკაციისა და განათლების ხელშეწყობაში.

2015 წელს შეიქმნა სამთავრობო კომისია C ჰეპატიტის ელიმინაციის ინიციატივების ზედამხედველობისა და კოორდინაციისთვის. კომისიის წევრები არიან სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, კლინიკისტები, U.S. CDC-ს წარმომადგენლები.

2015 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფი (Technical Advisory Group (TAG)), რომლის წევრები არიან საერთაშორისო ექსპერტები ელიმინაციის სტრატეგიის თითოეული პრიორიტეტის მიხედვით და ქვეყანას უწევენ უმნიშვნელოვანეს დახმარებას ელიმინაციის განხორციელების პროცესში. TAG-ის წევრები წარმოადგენენ შემდეგ ინსტიტუციებს: US CDC; ჯანმოს ევროპის ბიურო; ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებათა ცენტრი - საზოგადოებაში ჯანდაცვის გამოსავლების გაფართოების პროექტი (ECHO); ღვიძლის დაავადებების შესახებ განათლებისა და კვლევის ინსტიტუტი და ფონდი (LIFER); ჰეპატიტების მსოფლიო ალიანსი, ინოვაციური დიაგნოსტიკის ფონდი (FIND); შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი; ბრისტოლის უნივერსიტეტი; ემორის უნივერსიტეტი; ჯორჯიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (GSU). TAG-ის შეხვედრები იმართება წელიწადში ერთხელ შემოდგომაზე, თავს უყრის საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო პარტნიორებს და ყველა დაინტერესებულ მხარეს, რათა ღია ფორუმზე იქნეს განხილული სტრატეგიის დანერგვის გამოწვევები და მიღწევები.

2016 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს სამეცნიერო საბჭო დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრების თანათავმჯდომარეობით. საბჭო წარმოადგენს ელიმინაციის პროცესში ყველა საჭირო საკითხთან დაკავშირებით პრიორიტეტული კვლევებისა და ღონისძიებების მხარდაჭერის და ფინანსური ნაკადების მოძიებაში დახმარების, მონაცემთა ანალიზისა და პროგრესის გაზრცვლების ოფიციალურ ფორუმს. იგი არის სამინისტროს მნიშვნელოვანი პარტნიორი.

სტრატეგიით განსაზღვრული ქმედებები წარმოადგენს C ჰეპატიტის ელიმინაციის მიღწევის ერთიან ჯაჭვს: ცნობიერების ამაღლება/განათლება, პრევენცია (ინფექციის კონტროლი), სკრინინგი, მკურნალობა და მართვა თანხვედრაშია ჯანმოს ჰეპატიტების ელიმინაციის გლობალური სტრატეგიის მიზნებთან და ამოცანებთან და ეფუძნება ვირუსული ჰეპატიტების ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შეფასების ჯანმოს სახელმძღვანელოს.

C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგია არის გაეროს მდგრადი განვითარების მე-3 მიზნის 3.3.ა ამოცანის: 2030 წლისათვის შიდსის ეპიდემიის და ტუბერკულოზის აღმოფხვრა და ჰეპატიტთან, წყლით გადამდებ და სხვა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა – მიღწევის საფუძველი.

სტრატეგიის მიზანი და ამოცანები ასევე შესაბამისობაშია 2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ მერვე პრიორიტეტთან: პრიორიტეტული გადამდები დაავადებების პრევენციისა და მართვის გაუმჯობესება (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის 724 დადგენილება).


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ელიმინაციის სტრატეგიის ამოცანები და აქტივობები, რომელთა დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, სრულად არის ინტეგრირებული ქვეყნის მონაცემთა და ძირითადი მიმართულებების (BDD) დოკუმენტში.

2016-2017 წლებში სტრატეგიული ამოცანებით განსაზღვრული ინტერვენციების შესრულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ელიმინაციის სტრატეგია შედგება ოთხი სტრატეგიული მიმართულებისგან. თითოეული სტრატეგიული მიმართულების მიხედვით განხორციელებული აქტივობები, დანერგვის პროცესში წარმოშობილი ძირითადი გამოწვევები და მათი დაძლევისთვის ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დეტალურადაა ქვემოთ განხილული.

ელიმინაციის მთავარი მიზნის შეფასება: 2020 წლისთვის C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 90%-ის გამოკვლევა, C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მქონეთა 95%-ის მკურნალობა და მკურნალობის შედეგად 95%-ის განკურნება. როგორც მონაცემების ანალიზი აჩვენებს, 2017 წლის ბოლოს დიაგნოსტირებულია C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 34%, განხორციელდა C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმის მქონეთა 21%-ის მკურნალობა და მათგან განიკურნა 98%. რაც შეეხება სიკვდილიანობის მაჩვენებელს, C ჰეპატიტთან ასოცირებული ჰეპატოცელულარული კარცინომით და ციროზით გარდაცვლილთა რაოდენობა 100000 მოსახლეზე – 2017 წელს სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე შეადგენდა 6.7-ს, ხოლო 2015 წელს 8.1-ს (კლება 13%) (საქსტატი).

სურათი 2. C ჰეპატიტის მოვლის კასკადი, დაფუძნებული 90%-95%-95% მისაღწევ მიზნებზე – 2020 წლის სამიზნეების და 2015-2017 წლების შედეგების შედარება



2017 წელს ბრისტოლის უნივერსიტეტის და US CDC-ს მიერ C ჰეპატიტის ელიმინაციის მიზნის მიღწევის შუალედურმა შეფასებამ აჩვენა, რომ 2020 წლისთვის პრევალენტობის 90%-იანი შემცირებისთვის საჭიროა თვეში საშუალოდ 3300 (2000-4000) პაციენტის მკურნალობა. 2017 წელს არსებული ტემპებით (საშუალოდ მკურნალობის მაჩვენებელი თვეში 1000 პაციენტი), 2020 წლისთვის შესაძლებელი იქნება მოზრდილებში პრევალენტობის 53%-ით (34%-69%) და ინციდენტობის 52%-ით (32%-69%) შემცირება, ხოლო ელიმინაციის მიზანი (პრევალენტობის 90%-ით შემცირება) მიღწეული იქნება მხოლოდ 2025 წლისთვის.

C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის შედეგების (outcomes) შეფასება ხორციელდება 9 ინდიკატორით. საანგარიშგებო პერიოდში ვერ მოხერხდა მონაცემების მოძიება პირველი ინდიკატორისთვის – აქტიური HCV ინფექციის მქონე მოსახლეობის პროცენტული წილი, რადგან წყაროს წარმოადგენს ეროვნული პოპულაციური კვლევა, რომელიც ტარდება 5 წელიწადში ერთხელ. ასევე ვერ შეფასდა მე-3 ინდიკატორი – HCV ინფექციის მქონე მსმ-ების პროცენტული წილი, ვინაიდან მამაკაცებში, რომელთა სექსუალური პარტნიორია მამაკაცი, არ ჩატარებულა ბიო-ბიპევიორული ზედამხედველობის კვლევა. 2 ინდიკატორისთვის (HCV-ის პრევალენტობა ორსულებში და HCV-ის ინციდენტობა სამიზნე პოპულაციებში) უკვე შესაძლებელი გახდა ინფორმაციის წყაროების იდენტიფიცირება. სამი ინდიკატორის შედეგები შესაბამისობაში იყო 2017 წლის სამიზნე მაჩვენებლებთან. ხოლო ორი ინდიკატორის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სამიზნეებისგან და მათი შესრულება საჭიროებს დამატებით ძალისხმევას.

როგორც ზემოქმედების ინდიკატორები აჩვენებს, სტრატეგიის დამტკიცებიდან ორი წლის განმავლობაში გატარებული ქმედებების შედეგად (დეცენტრალიზაცია, ზიანის შემცირებისა და ჩანაცვლებითი თერაპიის ცენტრების ჩართვა ელიმინაციის პროგრამის განხორციელების პროცესში), სამიზნე პოპულაციაში (ნიმ, სისხლის დონორები, დიალიზზე მყოფი მოსახლეობა, ორსულები და ა.შ.) გაიზარდა HCV-ის გამოვლენა. 2016 წლიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დაწყებამ 3-ჯერ შეამცირა HCV-ის პრევალენტობა პათიმრებს შორის (42% – 2015 წელი და 12% – 2017 წელი). ორ წელიწადში ასევე შემცირდა HCV ინფექციის მქონე სამედიცინო პერსონალის პროცენტული წილი (2015 – 5% და 2017 – 3.8%). კვლავ მაღალი რჩება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელში HCV პრევალენტობა, ისე როგორც რეინფიცირების მაჩვენებელი 1.2%. უმნიშვნელოა C ჰეპატიტით დაავადებიანობა ორსულებს შორის. ერთი მხრივ, სადიაგნოსტიკო ტესტირების მეთოდების ცვლილებამ და მეორე მხრივ, მონაცემთა ბაზების დახვეწამ გამოწვია სისხლის დონორებში HCV გამოვლენის ზრდა.

ზოგიერთი ინდიკატორი დამოკიდებულია სპეციალიზებულ კვლევებზე, რომლის არჩატარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად იკლებს დაგეგმილი ინტერვენციების შესრულების შეფასების ხარისხი.


ცხრილი 2. საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის გავლენის/ზემოქმედების ინდიკატორების მატრიცა

	ინდიკატორების სია	საბაზისო მონაცემები	ანგარიშგების ფორმა	პასუხისმგებელი ორგანო	2017 სამიზნე	2017 შედეგი	კომენტარი
1	აქტიური HCV ინფექციის მოსახლეობის პროცენტული წილი	5 % (2015)	ეროვნული პოპულაციური კვლევის ანგარიში	დკსჯც	-	-	კვლევა ტარდება 5 წელიწადში ერთხელ
2	HCV ინფექციის მქონე ნიმ-ების პროცენტული წილი	66.2 % (2014)	IBBSS კვლევის ანგარიში	დკსჯც	40 %	63.2%	

	ინდიკატორების სია	საბაზისო მონაცემები	ანგარიშგების ფორმა	პასუხისმგებელი ორგანო	2017 სამიზნე	2017 შედეგი	კომენტარი
3	HCV ინფექციის მქონე მსმ-ების პროცენტული წილი	7.1 % პროცენტი, თბილისი 18.9 % პროცენტი, ბათუმი (2015)	მსმ-ში IBBS კვლევის ანგარიში	დკსჟც	8 %	-	კვლევა არ ჩატარებულა 2015 წლის შემდეგ
4	HCV-ის პრევალენტობა პათიმრებს შორის	42 % (2015)	IBBS კვლევის ანგარიში	სასჯელალსრუ ლების სისტემის 5 სამედიცინო სერვისი, კსჟც	25 %	12.6%	
5	HCV-ის პრევალენტობა ორსულებს შორის	X	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ანგარიში	დკსჟც	X	0.6%	
6	Anti- HCV რეაქტიული პირების პროცენტული წილი სისხლის დონორებს შორის	2.4 % (2014)	უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამის ანგარიში	დკსჟც	2.0 %	12.7%	
7	HCV-თან დაკავშირებული სიკვდილიანობა 100,000 მოსახლეზე	8.1	HMIS მონაცემები	დკსჟც	< 25%	6.7	საქსტატი
8	HCV-ის ინციდენტობა სამიზნე პოპულაციებში (კემოდიალიზის პაციენტები, მაღალი რისკის პოპულაციები)	X	კვლევის მონაცემები	დკსჟც, სმჟსდს, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“	X	16.7%	
9	HCV ინფექციის მქონე სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და პროცენტული წილი	5 %	კვლევის მონაცემები	დკსჟც	X	3.8%	კვლევა ტარდება 5 წელიწადში ერთხელ

მე 3-სურათზე მოცემულია ელიმინაციის სტრატეგიით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების სტატისტიკა (სურათი 2), 2016-2017 წლებში სულ უნდა განხორციელებულიყო 120 აქტივობა, აქედან 42% სრულად იქნა დასრულებული, ნაწილობრივ განხორციელდა 13% ღონისძიება, ინიციატივების 44% იყო განგრძობითი ხასიათის, რომელთა დასრულება 2020 წლისთვის არის დაგეგმილი. საანგარიშგებო პერიოდში, ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო ვერ მოხერხდა მხოლოდ 1 ინიციატივის (1%) განხორციელება (ლაბორატორიული მონიტორინგისა და IFN/RBV-ით მკურნალობის სამომავლო საჭიროების ხარჯთეფექტურობის შეფასება).

სურათი 3: ელიმინაციის სტრატეგიით 2016-2017 წლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების სტატისტიკა



ჰეპატიტის ელიმინაციაში მნიშვნელოვანია ვირუსული ჰეპატიტების ტრანსმისიის პრევენცია როგორც სამედიცინო დაწესებულებებში, ისე საზოგადოებაში. სტრატეგიით განსაზღვრული ინტერვენციების შესრულებას, შედეგად უნდა მოჰყვეს რისკ-ჯგუფებში ქრონიკული ჰეპატიტის მქონე პირთა რაოდენობის შემცირება (რაც უკვე აისახა HCV დადებითი სამედიცინო პერსონალის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების, სისხლის დონორების რაოდენობის კვლევაში). დაიწყო სისხლის ბანკების რეგულაციის გადახედვის და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი. პრაქტიკულად ყველა სტაციონარულ დაწესებულებაში განხორციელდა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის შეფასების ორივე დონის ჩატარება, მომზადდა სილამაზის და ტატუს სალონებისთვის სტერილიზაცია-დეზინფექციის მარეგულირებელი ბაზა და დაიწყო მათი აღსრულების მონიტორინგი.

როგორც სტრატეგიული მიმართულებების დეტალური მიმოხილვიდან, ისე გეგმის განხორციელების ინდიკატორების მნიშვნელობებიდან იკვეთება, რომ C ჰეპატიტთან დაკავშირებით, ცნობიერების დონე ზოგად პოპულაციასა და ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ზოგადად საშუალო დონეს შეესაბამება (2016 წლის თვისობრივი კვლევა) და კიდევ ბევრი სამუშაო ჩასატარებელი ამ მიმართულებით. მით უფრო, რომ მცირეხარჯიანი ეფექტური ჩარევით შესაძლებელია მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა. აღნიშნულის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა 2016 წლის ბოლოს ზიანის შემცირების ქსელის მიერ პაციენტის სკოლების და თანასწორთა მიერ მართული ინტერვენციების (peer driven interventions (PDI)) ფარგლებში HCV ცნობიერების ამაღლების პროგრამების დაწესება (გლობალური ფონდის პროექტი), რომელმაც 2017 წლის პირველ ექვს თვეში პრაქტიკულად გააორმაგა ნიშნებსა და მიღწევის მქონე პაციენტებში HCV გამოვლენა.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი და სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს იმ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც მიზნის მიღწევის ბარიერებს წარმოადგენს და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ესაა, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გაძლიერებაზე უფრო მეტი აქცენტის გადატანა და მეტი რესურსების მობილიზება; ელიმინაციის სერვისების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების აუცილებლობა; ჰეპატიტის სერვისებში ჩართული სამედიცინო კადრების ნაკლებობა; დიაგნოსტიკური სერვისების ჩატარებაზე ანტი-HCV დადებითი მოსახლეობის ნაკლები დაინტერესება.

ელიმინაციის სტრატეგიის 2016-2017 წლების ბიუჯეტი ანალიზი

სტრატეგიის ეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა ჩატარდეს ხარჯთეფექტიანობის კვლევები. ვინაიდან ასეთი კვლევები მოითხოვს როგორც ფინანსურ, ისე ადამიანურ რესურსებს, შუალედური შეფასების დროს ასეთი კვლევები არ განხორციელებულა.

C ჰეპატიტის ელიმინაციის ღონისძიებების ბიუჯეტის ანალიზი ჩატარდა საჭიროებების შეფასების საფუძველზე, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის, დაფარვის დაგეგმილი მაჩვენებლების და მომსახურების პოტენციალის გათვალისწინებით.

2016-2017 წლებში C ჰეპატიტის ელიმინაციაზე ეროვნული პასუხის ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო დაგეგმილი თანხის საერთო მოცულობა (ფარმაცევტული კომპანია „გილუადის“ მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული მედიკამენტების გარდა) შეადგენდა \$40 მლნ. ფაქტიურად დაფინანსებულმა თანხამ შეადგინა \$22.7 მლნ. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების წილი შეადგენდა დაგეგმილის 72%-ს, ხოლო C ჰეპატიტის დიაგნოსტიკასა და მკურნალობის მონიტორინგის თანაგადახდების წილმა 21% შეადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ელიმინაციის სტრატეგიის შემუშავებისას, ფარმაცევტული კომპანია გილუადის მიერ ჯერ კიდევ არ იყო შემოტანილი პრეპარატი ჰარვონი და გათვლები გაკეთებული იყო მედიკამენტების – ინტერფერონისა და რიბავირინის შესყიდვაზე. ჰარვონის შემოტანამ მინიმუმამდე შეამცირა აღნიშნული სამკურნალო საშუალებების შესყიდვა და შესაბამისად, შემცირდა 2016-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებები.

2017 წელს სახელმწიფოს მიერ დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის ზოგიერთი კვლევის დაფინანსებამ მნიშვნელოვნად შეამცირა პაციენტთა ფინანსური ტვირთი (დაგეგმილის 21%). საერთაშორისო დონორების ვალდებულებები შესრულდა 100%-ით.

ელიმინაციის სტრატეგიის ბიუჯეტის ანალიზმა აჩვენა, რომ საჭიროა გადაიხედოს 2019-2020 წლების ბიუჯეტი არსებული რეალობის გათვალისწინებით და განხორციელდეს მეტი საბიუჯეტო სახსრების მობილიზება C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ღონისძიებებზე.

ცხრილი 3: C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიის 2016-2017 წლების დაგეგმილი და ფაქტური ხარჯები

	1. ცნობიერების დონის ამაღლება	2. ჰეპატიტებზე ჯანდაცვის სექტორის რეაგირების მონიტორინგი	3. ვირუსული ჰეპატიტების გადაცემის პრევენცია	4. C ჰეპატიტით ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება	სულ
გეგმა, 2016					
სახელმწიფო ბიუჯეტი	40,000	44,800	1,560,252	6,305,954	7,951,005
თანაგადახდა	-	-	35,000	6,586,504	6,621,504
დონორული დახმარება	-	31.2	3,020,366	156,100	3,207,666
დეფიციტი	24,000	47,200	153.3	155,400	379,900
ფაქტური შესრულება, 2016					
სახელმწიფო ბიუჯეტი	40,083	45,000	2,705,394	3,154,633	6,305,110
თანაგადახდა	-	-	35,000	1,332,981	1,367,981
დონორული დახმარება	-	31.2	3,100,000	156,100	3,256,131
გეგმა, 2017					
სახელმწიფო ბიუჯეტი	20,000	54,400	2,768,986	7,273,869	10,117,255
თანაგადახდა	-	-	52,500	7,699,779	7,752,379
დონორული დახმარება	-	42,000	3,270.29	129,300	3,441,594
დეფიციტი	40,400	28,640	339,550	115,400	523,990
ფაქტური შესრულება, 2017					
სახელმწიფო ბიუჯეტი	63,985	60,000	2,768,986	3,804,323	6,697,294
თანაგადახდა	-	-	10,500	1,607,506	1,618,006
დონორული დახმარება	-	42,000	3,300,000	129,300	3,471,300

წყარო: ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები 2016-2017

სტრატეგიული მიმართულებების განხორციელების დეტალური მიმოხილვა

ამოცანა 1: ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება

პროგრესი და შედეგები

მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი რისკ-ჯგუფებში C ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის 2016 წელს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამას დაემატა C ჰეპატიტის პრევენციის და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობის კომპონენტი.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის გამოწვევებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად ხდება C ჰეპატიტზე საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების საკომუნიკაციო კამპანიის სამოქმედო გეგმების და სლოგანების მესიჯების შემუშავება, საკომუნიკაციო არხების შერჩევა/მოდიფიცირება.

ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისთვის გამოყენებულია სოციალური მედია-პლატფორმა, როგორცაა ფეისბუქის გვერდი – „ჯანმრთელობის ხელშეწყობა“ 2016 წელს (<https://www.facebook.com/HealthPromotionGeorgia>) და „C ჰეპატიტი“ (www.facebook.com/C-ჰეპატიტი-Hepatitis-C-155051274901781) 2017 წელს და დეცეც-ის ბლოგი. სულ 100-ზე მეტი პოსტი, ინფოგრაფია, ბლოგ-პოსტი, ვიზუალური მასალა იყო მიწოდებული.

2016 წელს ჩატარდა 2, ხოლო 2017 წელს 3 ონლაინ კვლევა (რესპონდენტების საერთო რაოდენობა 15,000) C ჰეპატიტის პრევენციისა და მკურნალობის აქტუალურ საკითხებზე (სკრინინგის მნიშვნელობა, C ჰეპატიტის გავრცელების გზები, C ჰეპატიტი მაღალი რისკის ჯგუფებში და ა.შ.). კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ცნობიერების დონე როგორც ზოგად პოპულაციაში, ისე ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში C ჰეპატიტის გადაცემის გზებთან, პრევენციასთან, ტესტირებასა და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით იყო მაღალი; ხოლო მკურნალობასთან და ჯანმრთელობის პოტენციურ გამოსავლებთან დაკავშირებით კი საშუალო.


2017 წლის თებერვალ-აგვისტოში ჩატარდა კვლევა 6 დიდ ქალაქში შპრიცებისა და ნემსების გაცვლის პროგრამის მონაწილეთათვის C ჰეპატიტის გადაცემის გზების და პრევენციასთან დაკავშირებით. დაახლოებით 1106 ნარკოტიკის ინექციურმა მომხმარებელმა მიიღო მონაწილეობა კვლევაში (Georgian Harm Reduction Network survey. 2017). დაახლოებით ნახევარმა (559/1106) თითქმის სწორად უპასუხა C ჰეპატიტის გადაცემის გზებთან დაკავშირებულ კითხვებს. უმეტესობამ (91.5% n=1,012) იცოდა C ჰეპატიტის უსიმპტომო მიმდინარეობის შესახებ და 100% (1104/1106) იცოდა სად უნდა ჩატარებინა სკრინინგი HCV ანტისხეულებზე. ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების 97%-მა სწორად განსაზღვრა C ჰეპატიტის პრევენციის ღონისძიებები, როგორცაა ერთი და იგივე შპრიცის გამოყენება სხვადასხვა პირის მიერ ან არასტერილური სამედიცინო

საგნების გამოიყენება. სამწუხაროდ, რესპონდენტთა 90% თვლიდა, რომ მათ ჰქონდათ იმუნიტეტი C ჰეპატიტისადმი მკურნალობის შემდეგ. სერვისის მიმწოდებლებმა ბევრი უნდა იმუშაონ პაციენტთა ცნობიერების ასამაღლებლად ხელახალი დაინფიცირების რისკის შესახებ, თუ ისინი გააგრძელებენ მაღალი რისკის ქცევებს.

კიდევ ერთმა მცირე ფრთხილ კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 20,5%-ს არ აქვს ინფორმაცია C ჰეპატიტის დედიდან შვილზე გადაცემის შესახებ. მათ 13,5%-ს არ სჯერა, რომ C ჰეპატიტი შეიძლება იყოს ჰეპატოცელულარული კარცინომის მიზეზი. გამოკითხულთა 91,8% მზადაა ჩაიტაროს მკურნალობა, თუ ისინი ინფიცირებულები იქნებიან C ჰეპატიტის ვირუსით.


ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გამოკითხულთა შორის საშუალოზე მაღალია ინფორმირებულობა ჰეპატიტის გადაცემის გზების და მისი გართულებების შესახებ.

2017 წელს ამოქმედდა ვებგვერდი c.moh.gov.ge, რომელიც მოიცავს განახლებულ ინფორმაციას მოსახლეობის, პაციენტებისა და ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის ელიმინაციის პროგრამის შესახებ (ვებგვერდზე ვიზიტორის რაოდენობა 4287).



ელიმინაციის პროგრამის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია იმ პაციენტების წარმატებული ისტორიების/მაგალითების გაზიარება, რომლებმაც დაამარცხეს C ჰეპატიტი, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება და სტიგმის დაძლევა C ჰეპატიტის მქონე პაციენტთა შორის. ერთ-ერთი ასეთი ისტორიაა „ერთ მშვენიერ დღეს მე თავიდან დავიბადე: წერილი C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ლიდერებს“ (<http://georgiatoday.ge/news/7351/One-Fine-Day-I-Was-Born-Again%3A-Let->

ter-to-Hepatitis-C-Elimination-Program-Heads). ასევე მნიშვნელოვანია ჯანმოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ისტორია „რას ნიშნავს მკურნალობა: თემურ რადიანის ისტორია, საქართველო“ (<http://www.who.int/hepatitis/news-events/what-hepatitis-cure-means-georgia/en/>)



მომზადდა, დაიბეჭდა და ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა 500 პოსტერი, 15,000 ბუკლეტი, 15,000 ლიფლეტი C ჰეპატიტის გადაცემის გზების, გართულებების, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესახებ ცნობიერების დონის და განათლების ამაღლების მიზნით. აქედან ორი (დაამარცხე და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია) ითარგმნა ეთნიკურ ენებზე (აზერბაიჯანული და სომხური) და გავრცელდა შესაბამის გეოგრაფიულ არეალში.



შეიქმნა მოკლე ტექსტური შეტყობინებების საკომუნიკაციო კამპანიის სტრატეგია. 2017 წლის ივლისიდან ნოემბრამდე მოკლე ტექსტური შეტყობინება სამ ფაზად გადაეგზავნა: ივლისში 30-60 წლამდე ასაკის მამაკაცებს (500,000 პირი), ოქტომბერში – 1.8 მლნ ადამიანს, ხოლო ნოემბერში მაღალი რისკის პოპულაციას (500000 ადამიანი)

სურათი 4: 2017 წლის საკომუნიკაციო კამპანიის პოსტერები “დაამარცხე”



2017 წელს ჩატარდა 4 მედიასემინარი (დაგეგმილი 2-ის ნაცვლად) მედია-საშუალებების, მათ შორის რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვისაც.

C ჰეპატიტთან ასოცირებული კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის, 3 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და ექსპერტები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო შეხვედრებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში (მაგ., EASL) (14 სტატია და 9 პოსტერული მოხსენება), ყოველწლიურად ეწყობა ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრები, აღინიშნება ჰეპატიტის საერთაშორისო დღე. აღნიშნული ღონისძიებები დაეხმარა საქართველოს მსოფლიოსთვის გაეცნო ჰეპატიტის ელიმინაციისკენ მიმართული ძალისხმევის შედეგები და მიღწევები.

C ჰეპატიტთან დაკავშირებული ცნობიერების, სტერეოტიპების, სტიგმის, დისკრიმინაციის, ზოგად მოსახლეობაში საკომუნიკაციო კამპანიების და მესიჯების ზეგავლენის შეფასების მიზნით, 2016 წელს ჩატარდა თვისობრივი კვლევა. 7 ფოკუს-ჯგუფში მსჯელობა გაიმართა თბილისსა და ზუგდიდში. ოთხი ჯგუფი მიმართული იყო ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის (KAP) შესასწავლად, დანარჩენ სამ ფოკუს-ჯგუფში მსჯელობის ჩატარების მიზანი იყო საკომუნიკაციო მასალების ტესტირება. თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 6-7 პირი, სულ 52. გარდა ამისა, გაიმართა 8 ჩაღრმავებული ინტერვიუ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებთან იმავე ქალაქებში.

- KAP ფოკუს-ჯგუფის დისკუსიების და ჩაღრმავებული ინტერვიუების ყველა მონაწილემ (52) განაცხადა, რომ მათ იციან როგორ ხდება C ჰეპატიტის გადაცემა, სხეულის რა ნაწილები ზიანდება C ჰეპატიტის შედეგად და როგორ უნდა იქნეს თავიდან აცილებული დაინფიცირება;
- C ჰეპატიტის მქონეთა უმეტესობას (12/14 მონაწილიდან) არ განუცდია სტიგმა C ჰეპატიტთან დაკავშირებით. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ჯანდაცვის პროფესიონალები არ არიან ინფორმირებულნი იმ სტიგმაზე, რასაც განიცდის C ჰეპატიტის მქონე პაციენტი;
- სამი ფოკუს ჯგუფის 18 მონაწილესთვის სრულიად გასაგები იყო საგანმანათლებლო კამპანიების მესიჯები. თუმცა, ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ვიდეო-რეკლამა არ არის მიმართული ქმედებების სტიმულირებისკენ. მაგ. „ჩაიტარე C ჰეპატიტის ტესტირება“. უმეტესობა ფოკუსირებულია პრევენციაზე.

საზოგადოებაში ჰეპატიტთან დაკავშირებული დისკრიმინაციის შეფასების კვლევა 2016-2017 წლებში არ ჩატარებულა, შესაბამისად, ზოგად მოსახლეობაში და სამედიცინო პერსონალს შორის C ჰეპატიტთან დაკავშირებული დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

ცხრილი 4: შეფასების ინდიკატორები

ამოცანა	ინდიკატორები	საბაზისო მონაცემები	გაზომვის ერთეული	წყარო	2017
ვირუსული ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება მოსახლეობასა და მაღალი რისკის ჯგუფებში	C ჰეპატიტის პრევენციასთან, დიაგნოსტიკასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ცნობიერების დონე ზოგად მოსახლეობაში	-	ყოველ 2 წელიწადში ჩატარებული KAP	დკსჯც	1
	C ჰეპატიტის პრევენციასთან, დიაგნოსტიკასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ცნობიერების დონე მაღალი რისკის პოპულაციებში (ნიმ, მსმ, ქალი სმ)	-	ყოველ 2 წელიწადში ჩატარებული KAP	დკსჯც	1
	ზოგად მოსახლეობაში ცნობიერების ასამაღლებლად STOP C-ის ფარგლებში ჩატარებული მედია კამპანიების რიცხვი	1 (2015)	რაოდენობა წელიწადში	დკსჯც	4
	მაღალი რისკის ჯგუფებსა და სამიზნე პოპულაციებში გავრცელებული საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო მასალების რაოდენობა	20,000	რაოდენობა	დკსჯც	30,000
	ზოგად მოსახლეობასა და სამედიცინო პერსონალს შორის გავრცელებული საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო მასალების რაოდენობა	15, 000	რაოდენობა	დკსჯც	30,000

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

გამოწვევები

- სკრინინგისა და პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა საკომუნიკაციო აქტივობების მოდიფიცირება საზოგადოების მოსაზრებების და საპასუხო რეაქციის მიხედვით;
- მნიშვნელოვანი გამოწვევაა საკომუნიკაციო კამპანიების დაფარვისა და ზეგავლენის გაზომვა რესურსების ნაკლებობის გამო. რესურსების ნაკლებობა ასევე განაპირობებს მოკლე და წყვეტილ საკომუნიკაციო კამპანიას.

ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციები

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების შეფასება, რათა განხორციელდეს ცვლილება სკრინინგის რეკომენდაციებსა და ჯანდაცვის ობიექტების მდებარეობის მიმართულებით;
- საკომუნიკაციო მესიჯების შემუშავება პაციენტთა ადვოკატების ჯგუფებთან და ჯანდაცვის პროფესიონალებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- ჯანდაცვის პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება C ჰეპატიტის და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სტიგმის შემცირების მიმართულებით.

ამოცანა 2. ჰეპატიტებზე ჯანდაცვის სექტორის რეაგირების მონიტორინგი

პროგრესი და შედეგები

2016 წელს გადაიხედა და დაზუსტდა C ჰეპატიტის მწვავე და ქრონიკული ფორმების დეფინიცია და ამავე წლის აგვისტოში პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის მომზადდა პროტოკოლი ახალი დეფინიციებით.

2015 წლის ბოლოს შეირჩა ორი სენტინელური სამედიცინო დაწესებულება თბილისსა და ქუთაისში C ჰეპატიტის გამომწვევ რისკ-ფაქტორებზე მონაცემების შეკრებისთვის (CDC-ის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში). 2016 წლის ივნისიდან ელიმინაციის პროგრამაში მონაწილე ყველა დაწესებულება რუტინულად აგროვებს ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს ახალი „C-ს ელიმინაცია“ მონაცემთა ბაზის საშუალებით (ყველა პაციენტზე სკრინინგის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, მკურნალობის გართულებების, მკურნალობის შემდგომი მონიტორინგის, მკურნალობის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია). თუმცა მონაცემთა ხარისხი მოითხოვს გაუმჯობესებას (US CDC-ის ანგარიში). ყოველთვიურად ხორციელდება მონაცემების ანალიზი წინასწარ დამტკიცებული ფორმატით და იგზავნება სამინისტროში და US CDC-ში.

2016 წლის ივნისიდან ასევე ხდება ჰეპატიტის რეინფიცირების ზედამხედველობა ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში (Medecins du Monde (საფრანგეთი) და ლოკალური არასამთავრობო ორგანიზაციის „ჯანდაცვის კვლევების გაერთიანების“ ერთობლივი პროექტი).

ცხრილი 5: C ჰეპატიტის ვირუსის სეროკონვერსიის შემთხვევები წლების მიხედვით

HCV სეროკონვერსიის წელი	2015 N (%)	2016 N (%)	2017 N (%)	2018 N (%)
სეროკონვერსიული შემთხვევები	2,163	1,136	3,205	1,834
